

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 04.11. N 2024 განკარგულებით საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე -100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად ხარაგაულის მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საქართველოში იაპონიის საელჩოსგან გამოეყო გრანტი 61 864.41 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში რომელიც 12 დეკემბრის კურსით შედგენს 165 807. 90 ლარს, პროექტის - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის მძიმე ტექნიკის შეძენა კატასტროფებისადმი რეაგირებისა და რისკის შემცირებისათვის“ განსახორციელებლად. (დან. N 1)

2. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 იანვრის N 51 განკარგულებითა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტისათვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს მარმენიოსთან სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2022 წლის 13 იანვარს გაფორმებული N 19 ხელშეკრულების თანახმად, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტს გამოუყო მიზნობრივი ტრანსფერი 113 715,50 ლარი 2022 წლის ნოემბრის თვეში შესრულებული სამუშაოების ასანაზღაურებლად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2022 წლის 01.12 დეკემბრის N 04-03/109677 წერილით გვეცნობა, რომ საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტში დაზუსტებული 2022 წლის მაკროეკონომიკური პარამეტრების შესაბამისად, პროგნოზირებული დამატებული ღირებულების გადასახადის 19% შეადგენს 1 400 000. 0 ათას ლარს, საიდანაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წელს მიიმართება გასანაწილებელი დამატებული ღირებულების გადასახადის 0,54 %, რაც ნომინალურ გამოხატულებაში შეადგენს 7 560,0 ათ. ლარს. 2022 წლის 01 დეკემბრამდე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის შემოსულობებში დღგ განისაზღვრებოდა 7 375,0 ათასი ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში კვლავ იზრდება შემოსულობები გადასახადების ნაწილში დამატებული ღირებულების ხარჯზე 185,0 ათასი ლარით. (დან. N 2)

3. მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2022 წლის 07/12 N 02-682 234 137 მომართვის თანახმად, სოციალური დაცვის „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯების დახმარების ქვეპროგრამაში“ მიმდინარე წელს აღებული ვალდებულებებისა და მედიკამენტებზე შემოსული განცხადებების რაოდენობიდან გამომდინარე დამატებით საჭიროა 75,0 ათასი ლარის გამოყოფა. (დან. N 3)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობების თერთმეტი თვის გეგმა-შესრულების მიხედვით ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან დაგეგმილი წლიური 872,1 ათასი ლარიდან მიღებულია მხოლოდ 556,2 ათასი ლარი, ე.ი. 315,8 ათასი ლარით ნაკლები. დამატებული ღირებულების გეგმის გაზრდა იძლევა საშუალებას დაზუსტდეს (შემცირდეს) ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლების გეგმები 110.0 ათასი ლარით და განისაზღვროს 762,1 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 22 331 245 ლარი იზრდება 354 523 ლარით და განისაზღვრება 22 685 768 ლარით. შემოსულობები იზრდება უცხო ქვეყნების მთავრობიდან მიღებული კაპიტალური გრანტის ხარჯზე 165 808 ლარით; სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯზე 113 715 ლარით; დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმის გაზრდიდან 185 000 ლარით და მცირდება ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების ხარჯზე 110 000 ლარით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გადასახდელები 25 753 992 ლარი ასევე იზრდება 354 523 ლარით და განისაზღვრება 26 108 515 ლარით. გადასახდელების ზრდის წყაროა უცხო ქვეყნების მთავრობიდან მიღებული კაპიტალური გრანტი 165 808 ლარი, რომელიც მიიმართება საგზაო ინფრასტრუქტურის ხარჯებში; სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯზე 113 715 ლარი, რომელიც მიიმართება საჯარო სკოლის მოსწავლეთა ტრანსპორტირების ხარჯებში და დამატებული ღირებულების გადასახადის გეგმისა და ჯარიმების გეგმების დაზუსტებიდან გამოყენებული სხვაობა 75 000 ლარი, რომელიც მიიმართება სოციალური დაცვის ხარჯებში.